

543
1956

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ბება
წიგნი, ტურთა მარეა
აქამა იკო მინი
და პირე მინილი, მრელია
სამოსელი კიანტისა

№ 12 სამართვოს აკა ცხეაზარი კოძეხის
შახაი ხიკიფონეხათის

დეკემბერი
1956



ბავშვის საბ. დოქ. ნ. ბ. გ. გ. გ. გ. გ.
საქართველოს
საბავშვო ჟურნალი
თბილისი





პ. პელიაშვილი

ნახატები რ. მუსხიჩიძისა

მოახლოვდა ახალი წელი. ყველა ემზადებოდა ახალი წლის შესახებდრად. ბაზრიდან მოქონდათ სურსათი, ნაძვის ხეები, სათამაშოები.

დედამ ნანულის უთხრა, როდესაც ახალი წელი მოვა, ყველა სუფთად უნდა დახვდეს, თორემ მთელი წელი სულ ჭუჭყიანი ივლის და ხალხში თავი მოეჭრებაო. ამიტომ ნანულის ერთხელაც არ უტირია ბანაობის დროს.

გიამ და ციალამ გადაწყვიტეს, ამ დღესასწაულს ამხანაგებთან ერთად შეხვედროდნენ, — ისინი უკვე დიდები იყვნენ; აღრიანად ჩაიცვეს ახალი ტანსაცმელი და წავიდნენ. დედამ და მამამ კი ნანულის განუცხადეს, ახალ წელს სახლში შევხვდებითო.

— ახალი წელი ჯერ ჩვენთან მოვა, მერე გიასა და ციალას ამხანაგებთან? — ჰკითხა დედას ნანულიმ.





— ყველასთან ერთად მივა, შვილო, შენ-
თანაც, შენს ამხანაგებთან, ძია დიმიტრისთან,
მამილა თებროსთან...

— რას მომიტანს ახალი წელი?

— რას მოგიტანს და ნაძვის ხეს, რომელ-
ზედაც უამრავი ბრჭყვიალა სათამაშოები იქ-
ნება: ფერადი შუშის ბუშტები, თვითმფრი-
ნავები, ავტოები, თევზები, ფრინველები.

— ახალი წელი ისევ თეთრი წვერებით
იქნება?

— ისევ თეთრი წვერებით.

— მერე რად არ გაიკეთა მამამ თეთრი წვერები?

— გაიკეთებს, — უნებურად გაიღიმა დე-

დამ.

— დედიკო, ახალი წელი ჩვენს ფისოს-
თანაც მოვა? რას მოუტანს ფისოს?

— შენ რა გინდა მოუტანოს?

ნაწული ცოტა ხანს დაფიქრდა და მერე
უცბად უთხრა:

— მე მინდა პატარა თავუნა მოუტანოს.

— მერე არ გეცოდება თავუნა? — ღიმი-
ლით ჰკითხა დედამ. — ფისო ხომ დაიჭერს
თავუნას, ათამაშებს და აწრუწუნებს, მერე კი
შეკამს.



— არა, ნამდვი-
ლი კი არა, სათა-
მაშო თავუნა.

— კარგი, იქნება
ფისოსაც მოუტა-
ნოს სათამაშოვები
ახალმა წელმა, —
დამშვიდა დედამ,
საბანი შეეუსწორა
და უთხრა, დაი-
ძინეო.



ნაწულიმ თვალები დახუჭა. ის იყო, ოდნავ ჩათვლიმა, და რას ხე-
დავს:

ის დიდ დარბაზში დგას, ამ დარბაზის შუაგულში ამართულია
ათასგვარი სათამაშოებით მორთული და მოკაზმული ნაძვის ხე.

ნაწული ნაძვის ხეს მიუახლოვდა.

ხედავს, ნაძვის ხის ძირას ფისო დასკუბდა. შეხტება, სტაცებს პირს
ერთ სათამაშოს, დაითრევს და გადასანსლაჲს, შეხტება მეორედ, დაი-
თრევს მეორე სათამაშოს და იმასაც გადასანსლაჲს.



ნანულის კი უნდა მივარდეს, დასტაცოს ხელი ფისოს და ნაძვის ხეს მოაშოროს, მაგრამ აღვილიდან ვერ იძვრის.
 ფისო კი სანსლოავს და სანსლოავს სათამაშოებს.
 მაშინ ნანულიმ მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე და იყვირა:
 — ფისო!

იმწამხვე გაეღვიძა. თურმე ნანული ლოგინში წევს, ხოლო ფისოს იქვე სავარძელში მოუყეცია და კრუტუნებს.

მაშ ყველაფერი ეს სიზმარი ყოფილა?

ნანულიმ თვალები მოიფშენიჭა და ხმამაღლა დაიძახა:
 — დედა, ახალი წელი მოვიდა?

სასადილო ოთახის კარი გაიღო. ნანულიმ დაინახა, რომ შუაგულ ოთახში დგას შესანიშნავი ნაძვის ხე, უამრავი სათამაშოებით შემკული. იქვე ტრიანგლებს დედა, ხოლო მამამ ფუსფუსით აიკრა თეთრი წვერი.



ზურგზე საჩუქრებით სავსე ბოხჩა მოიკიდა, ნანულისთან შევიდა, ვადა-კოცნა და უთხრა:


— მომილოცავს ახალი წელი. აი, შენ ეს კამფეტები, ხოლო შენს ფისოს კი, აი, ეს სათამაშო თავუნა.



თქვა ეს და ფისოს წინ ძაფ-ზე დაკიდებული სათამაშო გაუ-თამაშა. სულელ ფისოს ის ნამ-დვილი თავვი ეგონა, ისკუბა, თავზე დაახტა და კლანჭებში მოიგდო. მერე მიხვდა, ეს ხუმ-რობა ყოფილაო, თავუნას თა-თები მოუთათუნა, ერთი აიფ-ხორა და დაიკნავლა „მიაუუ“! რაც მათ ენაზე ნიშნავდა „მშიაო“!

მალე ნანული ნაძვის ხეს-თან იღბა, ხოლო ფისო კი სა-შარეულოში საჭმელებს მიირ-თმევდა.

ასე შეეგებნენ ნანული და ფისო ახალ წელს.



„დამხმარეები“



ზა. ბარკინიძელი ნახატები მ. თოთიაშვილის

პირველ დღეს ციციწო სკოლაში დედამ წაიყვანა. იქ ციციწო ახალ ამხანაგებს გაეცნო და, რაც მთავარია, მიხვდა, რომ გაკვეთილების დროს ცელქობა არ შეიძლება.

რამდენიმე დღის შემდეგ სკოლიდან დაბრუნებულმა ციციწომ ეზო ხმაურით აიკლო:

— ოთხიანი დამიწერეს! ოთხიანი დამიწერეს!

— რისთვის? — შეეკითხნენ მეზობლის ბავშვები.

— ორიანის დაწერისათვის!

— ორიანის დაწერისათვის ოთხიანი როგორ დაგიწერეს? — გაუკვირდათ ბავშვებს.

— გეფიცებით! დაფასთან გამიძახა მასწავლებელმა და ციფრები დამაწერინა, მეც დაეწერე: ერთი, ორი, სამი, ოთხი... მასწავლებელს ჩემი დაწერილი ორიანი მოეწონა და მითხრა: კარგად დაწერილი ორიანისათვის ოთხიანს გიწერო!

— ჰოდა, ეცადე, ხუთიანიც კარგად დაწერო, თორემ შეიძლება, მასწავლებელმა ცუდად დაწერილი ხუთიანისათვის ორიანი დაგიწეროს, — უთხრა დედამაც.

ციციწო სკოლაში შესვენების დროს დერეფნებს მოიბრუნდა, ყველაფერს ათვალიერებდა...

ერთ დღეს, უკანასკნელი გაკვეთილის დაწყებამდე, მეზობელ კლასში შეიხვდა. ხედავს: ქალარა ლიზა ბაბო საკლასო ოთახს ჰგვის, მერხნებსა და ფანჯრებს ტილოთი ასუფთავებს.

— გამარჯობა, ლიზა ბაბო! — მიესალმა ციციწო.

— გაიზარდე, შვილო.

— ლიზა ბაბო, დაილაღეთ?

— მაშ რა იქნება, შვილო! ხედავ, რას ჩადიან ბავშვები: ქალაღებს დაბლა ჰყრიან, ქუჭყიანი ფეხებით მერხებზედაც კი აღიან. თუ არ გავასუფთავე, აქაურობა სანაგვედ გადაიქცევა. მერე როგორღა ისწავლით?

— ლიზა ბაბო, გინდათ, მოვეხმარებოთ.

— არა, შვილო, წადი, გაკვეთილზე არ დაგაგვიანდეს.

— ლიზა ბაბო, ჩვენი კლასის ოთახსაც თქვენ ასუფთავებთ?

— ჰო, შვილო.

ციციწო თავის საკლასო ოთახში შევიდა. გაკვეთილი დაიწყო.

დღეს ერთი ოთახის დალაგება უჭირს, ლიზა ბაბომ კი რამდენი ოთახი უნდა დალაგოს! ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, — ფიქრობდა ციციწო.

— ციციო! რაზე ჩაფიქრებულხარ? გაკვეთილს რატომ არ უსმენ? — გამოარკვია მასწავლებლის ძახილმა ციციო.

— ლიზა ბაბოზე ვფიქრობ, რამდენი ოთახი უნდა დააღაგოს!

— კარგი, აბა, გამოდი დაფსთან და დამიწერე, რამდენი საკლასო ოთახი უნდა დააღაგოს ლიზა ბაბომ, — უთხრა მასწავლებელმა.

ციციო მკვირცხლად მივიდა დაფსთან და დაწერა 4.


— სწორია, კარგად დაგიფელია, — თქვა მასწავლებელმა.

მეორე დღეს, გაკვეთილების დამთავრებისას, დერეფანში ლიზა ბაბო ტრიალებდა, რაღაცას ეძებდა.

— ვის რად უნდოდა ნეტავი! სად წაიღეს? — ჯავრობდა ლიზა ბაბო.

— რას ეძებთ, ლიზა ბაბო? — ჰკითხა უფროსკლასელმა.

— ცოცხს, შვილო, სადაცაა გაკვეთი-



ლები დამთავრდება. კლასები დასაღებელი მაქვს. ნეტავი ვინ წაიღო?

გაკვეთილები დამთავრდა. კლასებიდან ჟრიაშლით გამოცვიდნენ ბავშვები. აი, მოხუცმა შეიხედა ციციოს კლასში და რას ხედავს: ციციონს აუღია ის ცოცხი და საკლასო ოთახს ჰვეის, დანარჩენი მოსწავლეები კი ჩერებით მერხებს ასუფთავებენ.

— ამით დამიხედეთ! ეგ კი არ გითხარით, თქვენ დაგავეთ—მეთქი. ნულარ დანაგვიანებთ და მაშინ უფრო მეტად დამეხმარებით. ვიდრე მაგ ცოცხის ტრიალით, — უთხრა მათ ლიზა ბაბომ და ციციონს ცოცხი ჩამოართვა.

მპარტავანი კეჩეკი

შარანს შორა

მპარტავანი კერეკის თავდა-
დასავალი პაპაჩემისაგან გამი-
გონია. კერეკი ყველაზე მდი-
დარი კაცი ყოფილა სენმარტენის მი-
დამოგებში. იმ დროს იქ პაპაჩემი მო-
ჯამაგირედ მუშაობდა. კერეკის თურმე
იზდენი სახლები, მინდვრები და ფერმები
ჰქონია, რომ კაცი ვერ მოთვლიდა. მუდამ
ოთხცენიანი ეტლით დაბრძანდებოდა
და საყოთარ ეზოშიც ეტლით დასეირ-
ნობდა. როგორც ამბობენ, ჩეკემების სა-
ფეკი დანაც კი ოქროსი ჰქონდა.

— ვინც მდიდარია, ის თავემომწონე-
ცააო, — იტყუდა ხოლმე ამპარტავანი კე-
რეკი. ჰკვიანი და თავმდაბალი ხალხის
წინაშე ქულს არ მოიხდიდა.

— ქისაც ჯიბეში ნაკლები ფული
აქვს, ქული მან მოიხადოს. თუ ყველას
ქული მოეუხადე, მაშინ ხომ ხელები საა-
თის ქანქარასავით უნდა ვაქნო, — ამ-
ბობდა ზვიადად.

ერთხელ ჩვენი სოფელი ხანძრისაგან
მთლად გადამწვარა და საბრალო გლეხე-
ები იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორ
აღედგინათ თავიანთი ბინები. მათთან
კერეკი მივიდა. გლეხებმა ბოზოლას წი-
ნაშე ქულები სწრაფად მოიხადეს და იფიქ-
რეს, იქნებ ახლა მაინც შევებრალოთ და
სოფლის დასახმარებლად რაიმე გამოი-
მეტოსო.

მაგრამ კერეკმა მხოლოდ ამაყად გა-
დახედა მათ და ერთ აწოწილ ყმაწვილს
თავზე წვროს ფრთით შემკული ქული
შეაძნია. ეს ჭაბუკი მაღალი და ფერმკ-
რთალი იყო; თვალები ნაკვერჩხალივით
უელავდა. ლარიბული ჩაცმულობა და
მტკრიანი ჩეკემები კი მოწმობდა, რომ
მოხეტიალე სტუდენტი უნდა ყოფილი-
ყო.

— ვინ არის ეს ვიგინდარა?! — შეჰ-

ნახატი ქ. მახარაძისა

ყვითა გულმოსულმა კერეკმა. — ალ-
ბათ, ქულში ბოლოქანქარა ჰყავს დამა-
ლული, ეშინია, არ გაუფრინდეს და ბა-
ტონს ქულს იმიტომ არ უხდის.

— მე არ ვიციან ბატონს, — მიუგო
დინჯად სტუდენტმა.

— ეს რაღაც ახალი ამბავია! განა ჩემი
გარეგნობით მაინც ვერ მიხვდი, ვინცა
ვარ? — დაიღრიალა წამოკარხლებულმა
კერეკმა. — მოიხადე ქული, ყმაწვილო!
ჯიბეში ხაზინიდან სულ ახლად გამოშ-
ვებული ასი ოქრო მიჩხრიალებს, — და
ისე მიირტყა ხელი ჯიბეზე, რომ ფულემა
მართლაც ჩხრიალი დაიწყეს.

მაგრამ ყმაწვილმა კაცმა ზურგი შეა-
ქცია და უთხრა:

— ასი ოქროს გულისათვის მე არა-
ვის არ მივესალმები.

ამ სიტყვებზე გლეხებმა ერთმანეთს
გადახედეს. ცხადია, ეამათ სტუდენტის
მოხდენილი პასუხი. კერეკი კი უფრო
დაიბნა.



— მაშ, გავიყოთ ეს ოქროები, — უთხრა სტუდენტს და ძალდატანებით გაიღიმა, — ორმოცდაათი ოქროსათვის განაერთ სულამს არ გამოიმეტებს შენისთანა ღარიბი სტუდენტი?

სტუდენტმა კერეკის ოქროები ჯიბეში ჩაიყარა და თანაც ხელი აიჭნია:

— ახლა ხომ იმდენი ოქრო მაქვს, რამდენიც თქვენს მოწყალებას, რისთვისღა უნდა მოგესალმო?

კრათ თავი?! თქვენი ჯიბე ცარიელია, მე კი ასი ოქრო მაქვს. ვინც მდიდარია, იგი თავმომწონეცაა. ვისაც ჯიბე ცარიელი აქვს, ის მომესალმოს პირველად და სამჯერაც ქული მოუხადოს ჩემისთანა მდიდარ კაცს!

ამ სიტყვებმა ისეთი ხარხარი გამოიწვია გლეხებში, რომ ამპარტავანი კერეკი თავქუდმოგლეჯით გაიქცა სოფლიდან და, მგონი, დღესაც ვარბის.

11



ამ სიტყვებმა და განსაკუთრებით გლეხების ღიმილმა მთლად გააცეცხლა ამპარტავანი კერეკი.

ეს სირცხვილი, რაღაც უნდა დაგიჯდეს, კაცმა თავიდან უნდა აიცილო, — გაიფიქრა კერეკიმ და ასეთ ოინს მიმართა:

— ძვირფასო ძამიკო, მიიღე ჩემგან დანარჩენი ორმოცდაათი ოქროც და ამის ხატორით მაინც მომეცი სალამი.

სტუდენტმა ეს ფულებიც ჯიბეში ჩაიხსრიალა და კერეკს დაუყვირა:

— ახლა კი რიდასთვის უნდა დაგი-

სტუდენტმა კერეკის ასი ოქრო იქვე დაურიგა დაზარალებულ გლეხებს და დააპირა საჩქაროდ გასკლოდა იქაურობას, რათა გლეხების მადლობისათვის თავი აერიდებინა.

— კეთილო სტუდენტო, სახელი მაინც გვითხარი, — შეეხეწნენ გლეხები, — დაე, ჩვენმა შვილიშვილებმაც იცოდნენ, ვინ დალოცონ.

— შე შანდორ პეტეფი*) მკვია, — უბასუხა მათ სტუდენტმა და გამომშვიდობების ნიშნად წეროს ფრთით შემკული ქული დაუქნია.

თარგმანი უნგრულიდან **ნ. ჩიქოვანისა**

*) შანდორ პეტეფი დიდი უნგრელი პოეტი იყო.

თქვით, ვინ

ლომი

12
ლომი ფაფარგანდით დადის, იმედი აქვს თავის თათის, აქვს ისეთი დიდი ძაღა — ხარს კისერი წააცაღა; გამოსცაღა თითქოს ღონე და გვიცქერის თავმომწონედ.



სპილო

ძლიერია მეტად სპილო, ხორთუმი აქვს ასი კილო, არის ღომზე უფრო დიდი, თხრის ხორთუმით ქვებს და მუჭებს, მაგრამ გახადეთ ისე მშვიდი, რომ ხანდახან ყურშია უყურეს!



ქარი

ისე დაქრის მძლავრი ქარი, მტვრად აქცია მთა და ხარი, წელში ძუღკვის ზესაც გახრის, ღმუის, როგორც მოხზუბარი... ჩქარია და ბოზოქარი, იცის ვეღა საზღის კარი!

ურბო ქლიარია



ზღვა

ზღვას, უზომო ძალით ქებულს, გაჩს არცყია მთების აღუა, — კლდეც ვერ უძლებს განრისხებულს, წყრილ კენჭებად ამსხვრევს ტაღა!

მდინარე

ულან ხევში რომ ჩამობრბო, მზიარული მდინარეა, დახვეწების გროც არა აქვს მუდამ დაუძინარია! ხან კი ყანის მოსარწყუადე ათას არხში გაიშლება... და ისეთი მოწყალეა, არასოდეს დაგვიშრება!



აღამიანი

მას არა აქვს ღომის ძაღა, მაგრამ ღომებს მზინც სდღა, — ნადირობა არ აცაღა, ღალიაში ჩაამწყვეტია! ის არ არის ვებერთელა, სპილოს არვის არ ადარებს, მაგრამ დახეთ: ნელა-ნელა მიძილც ბურგივთ დაატარებს! ქარს წისქვილი ჩააბარა, რომ დღე-ღამე ამუშაოს!

ზღვას ჯღბირი ააფარა, არაუის რა დაუშავოს! მდინარესაც ეღსადგური მან დაუღვა კაკანათად და ფრთხილად ტაღლის შუქით პატარებრც გაგანათათ! აბა, ვინ ვის მოუტარა, ვინ მბრძანებლობს შინ და გავრეთ? თქვით, ვინ უფრო ძლიერია, — ადამიანს შეუდარეთ!



ალდარ-კოსა

ვახანგი ზაძარი

იყო ერთი ღარიბი ბიჭი — სახელად ალდარ-კოსე, დიდი ეშმაკის ფეხი. იმ მხარეში ცხოვრობდა შიგით ბაი¹⁾. მასზე ძუნწი აღმინი არ მოიპოვებოდა. თავის სოცოტელეში სტუმარი არ მიუწვევია და ლუქმა არავისთვის მიუწოდებია.

პოდი, აღდარ-კოსემ გადაწვიტა ძუნწ ბაის სტუმრებოდა; ფეხაკრფით შივიდა მის კარავან და პუტრუტანაში შეიხედა; სპილენძით მოკვდილი ზანდუკები, ოქროსკრდიანი საფეხებითა და ძვირფასი ხალიჩებით სასვე იყო იჭარობა. შუა ცუტხლთან ბაი ძებებს ტყინიდა; ცოლი კოშხ ზელდა; მოახლე ბატის პუტედა; მორავ მოახლე კი ცხვრის თავს ტრუსავდა; დიდ ქვაში ხორცი იხარშებოდა.

¹⁾ ბაი — ბატონი

კოსე შვიდა²⁾ კარავში და მასპინძლებს მდებლად თავი დურჯა. მათ ფეცოფუცით მიზალს სწოვავდა.

— ძალიან გამხარე შენი მოსვლით, ახალი ამხეი მიამზე რამე, ოღონდ წუღ ამძრახავ, თუ ვრადფრთ ვაგინმასპინძლებდი, — უთხრა ბაიმ.

— აგიილი, — მიუჯო კოსემ, — მაგრამ რაზე მოგიტყვი, რაც ენახე, თუ რაც გავიგონე?

— რაც ნახე, ის მიამზე, თორემ ვაგონილი ხშირად ტუტელი გამოდგება ხოლმე.

— მაშ, აბა, უკრი დამიგდე; მოედღარ შენკენ და ესედე, ვნახე ძლოცკი მოპყრება. ისეთი გრძელია, როგორც ის შენი ძეხე, წიღან კიღობანში რომ შეინახე; თავი იმ ცხვრის თავივითი შევი და სახარელი ქონდა, შენმა მოახლემ რომ გადამშალა; ავიტაცე ზელში ის ძლოცკი



ნახატები A. USMANOVA

და ისე მოვადგენდი, როგორც შენმა კოლმა სოში მოვადგენდი, თუ არა გჯერა, იმ ბატონი გამგებტოს ულავებე, წიღან თქვენს მერვე მოახლეს რომ გეჭრა.

— უბ, უბ! — გიქნია თავი ბაიმ, მაგრამ სტუმრის გამასპინძლება მაინც არ უფერჯია.

კარგი ხანი გავიდა. ხორცი ისე გვმრიელად თუბთუბება ქვაში, რომ სტუმრის წერწევი მოსილიდა.

— იღლებ, ჩემო ქვაბო, თუნდა ნახევარი წელი! — ბურტუნუნება ბაი.

აღდარ-კოსემ ფეხთ ვიხიდა, მიწვა ცუტხლთან და თქვა: — დასვენებო, ჩემო წუღებო, თუნდ ვერმისამდე!

შუაღობისას კოსემ მიუყურა; ყველას სი-

²⁾ ბირანი — წყლანარავი მარონი

ნავდა, ჩემად იდგა, ქვაბიდან ხორცი ამოიღო, კარგად გამოძლა და ქვაბში ძველი თასებში საყრა, თვითონ არ თავი მომზადნარა.

გათენებისას ბაიმ თავისიანებს ნიღავეი წაქრა და წასტრუტელა:

— აღვქით ჩქარა, ვიდრე კოსეს არ გუფუღვითა, ვისახვით!

შიგით ბაი შვიტია, კოსე კი — მამდარი.

შემოუსდნენ ცხელ-ცხელ თასებს; ჩამოკრან, ჩაიდებენ პირში, ლტვენ, ლტვენ, კიწალად კბილები დაიმტკრიეს.

— არა, დედაცო, — უთხრა ბაიმ კოსს, — ხორცი გერ არ მოხარშულა, ისე აირანინ³⁾ ჩამისი გულაში, მინდორში შევეტყვი.

თუესს გულა აირანით, ამოიღო ახალუხის კალიის ქვეშ და ის-ის აბას, უნდა წაიფლეს, რომ წამოხტა კოსე, გადაგებია და ვუნებია:

— შვილიბით, ჩემო მგლობარო, შეყოფა სტუმრობა, დღეს უნდა წაიფლდე! — და ატეო-იქით ახტუტეს.

იმდენი ანჯღრია, რომ გულას პირი მოტყენა და აირანი ზელ ჩამოტყურა ბაის ითმინა ბაიმ, ითმინა და მიუღლო გული კოსეს: აბა, ჩაყცხელი ჩემი აირანი, ოღონდ დამტყენოო. ზელახლა გამოძლა კოსე, შიგით ბაი კი შვიტია წავიდა.

მერვე დღის ბაიმ ისე დაბაბრა მინდორში წასლა. სოლმა ხშილდენი გამოუტეო ბაის და სტუმრის ზუღად უბეში ჩაუწეო.

კოსე უტხლად წამოხტა, გადაგებია, თითქოს მასთან განმორებაზე გული სწულდებო, და მხარად მიიხუტა.

— აბა, ჩემო ბაი, დღეს უნდა დავმარადე. მიუღივარ, შვილიბით იყავი!

იმდენ ხანს იკრავდა გულში მასპინძელს, სანამ ცხელ-ცხელმა ხშილდებმა ვერდები არ დაღწევა ბაის.

გამწარებულმა ბაიმ ითმინა, ითმინა, ბოლოს ამოყარა უბიდან ხშილდები და კოსეს მიუღლა:

— აბა, შე შეწვენებულო, ახლაც აღარ დამანებებ თავს!

კოსე, ვითარც აქ არაფერიაო, არხინად შეექცა ხშილდებს, მერე მოახტა თავის ცხენს და გატყუდა.

საახალწლო საჩუქარი



ვერა შვალაძე

რა ამაყად იტყვირება
დათუნია ბავშვსა,
თავზე ქული დაუხურავს,
შენის თოვლის თარაჯა.

მიველოცოთ, მეგობრებო,
არ იქნება ურიგო,
საახალწლო საჩუქრები
ყველას ჩამოეურიგოთ.

ალუ ბიჭი

ილია სინაპლიძე

პატარაა, პაწაწინა
მიტო თითისტოლა:
ჯერ ვერც დგება
და ვერც ჯდება,
უყვარს ზურგზე წოლა.
დაუმუქავს მაგრად მუჭი,
პირთან მიაქვს, მაგრამ უჭირს,
ხელებს, ფეხებს მაგრად იქნევს,
ღონიერი უნდა იქნეს!
ქსლოპინებს და ილიმება,
ჯერ არ უჩანს კიჭი,
„ალუს“ ამობს და ამიტომ
ჭკვია „ალუ ბიჭი“!



ლილი

1. ბალაშვილი

ნახატები მ. კოინიშვილისა

— დედა, წინსაფარი და ყვოსახვევი
ვაუთოვებულობა?—ოთახში შესვლისთა-
ნავე იკითხა ნანამ.

— ვაუთოვებულობა, მხოლოდ წინსა-
ფარს ღილი აქვს დასაკრებელი, — მიუ-
ვო დედამ.

— მერე, დამიკრე. ხომ იცი, ღღეს
რაზმის შვკრება გვაქვს.

— მე არა მცალია, აიღე ნემსი და
ძაფი და შენ თვითონ დაიკრე.

— არ შემოიძლია, ვერ დავაკრებ! —
გაჯიუტდა ნანა.

— მაშ, უწინსაფროდ წადი.

ნანა გაბრაზდა, ფაიბუტა. გავიდა მეო-
რე ოთახში, ერთ ხანს იტრიალა; დედა
საქმეში იყო გართული და ყურადღებას
არ აქცევდა. ნანამ აიღო წინსაფარი, ხე-
ლი მოჭკიდა ნემსს, ძაფს და საქმეს
შეუდგა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნანა დე-
დასთან გამოვიდა.

— აი, უჩანს! — უთხრა დედამ, — ამა-
ზეა ნათქვამი: „თუ გული გულობს, ქაღა-
ლი ივე ხელით იქნებაო“.




17

ბავშვებო, თქვენ კარგად იცნობთ მწერადი ქალის ანა ხახუტაშვილის მოთხრობებს. წაგიკითხავთ, ალბათ, მისი წიგნებიც: „ცუდეები“, „ღედის ლიმიდი“, „თომიკოს საჩუქარი“ და სხვები. წერა მან ძალიან ადრე დაიწყო. იმ დროს ბავშვებისათვის გამომდიოდა ჟურნალები „ნაკადული“ და „ჯუჯილი“. თავისი პირველი მოთხრობა მან „ნაკადული“ მიიტანა. პოეტ შიო მღვიმელს მისი მოთხრობა მოეწონა და თქვა: „ეს გოგო ძალიან ცოცხალი ჩანს და ცქვიტი დავარქვათო“. მართლაც, ამის შემდეგ „ნაკადულსა“ და „ჯუჯილში“ დაბეჭდილ მოთხრობებს „ცქვიტს“ აწვირდა ხოლმე. პატარა მკითხველები მაშინ მას ამ სახელით იცნობდნენ.

წელს თქვენ საყვარელ მწერადს ანა ხახუტაშვილს 70 წელი უსრულიდება.

ჟურნად „ღიდას“ რედაქცია და მისი მკითხველები ვულეცავთ ამ თარიღს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ბევრი სხვა კარგი მოთხრობების დაწერას.





პლალინია კოლინი

იყო და არა იყო რა, იყო შვიდი იხვი: ერთი — კოქლი, მეორე — ბრუციანი, მესამე — მრულენისკარტიანი, მეოთხე — ცალფრთიანი, მესხეთე — ბუმბულგაკლილი, მეექვსე — უკუდო და მეშვიდე კი — ყრუ. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს!

ყველა მათგანი ფიქრობდა, რომ მასზე უკეთესი იხვი მთელ ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა. იხვები დილიდან საღამომდე კამათობდნენ:

- მე ყველაზე ლამაზი ვარ!
- არა მე!
- არა მე!

ვერ იქნა და ვერ შეთანხმდნენ. ბოლოს გადაწყვიტეს მოსამართლესთან მისულიყვნენ და მას დაედგინა, თუ ვინ იყო ყველაზე ლამაზი.

პირველად კატასთან ბოილდნენ და მოახსენეს:

— ძვირფასო კატა, რომელია ჩვენს შორის ყველაზე ლამაზი?

კატამ ისინი შეათვალიერა და ასე უპასუხა: — მიაუ!

კეთილი, მაგრამ რას ნიშნავდა „მიაუ“, — იხვებმა ვერ გაიგეს. ამიტომ ძაღლთან მისვლა მოითხოვირეს.

— ძვირფასო ძაღლო! ჰქენი სიკეთე და გვითხარი, ვინ არის ჩვენს შორის ყველაზე ლამაზი და რას ნიშნავს სიტყვა „მიაუ“?

ძაღლმაც ახედ-დახედა მათ და ასე მიუგო:

— ჰამ!

იხვები კიდევ უფრო დაიბნენ და ხაზთან მივიდნენ.

— ძვირფასო ხარო, გვითხარი, ვინ არის ჩვენს შორის ყველაზე ლამაზი და რას ნიშნავს სიტყვები „მიაუ“ და „ჰამ“?

ხარმა იხვებს შეხედა და მიუგო:

— მუ-უ-უ!

ნახატი დემისა

საკლავმა იხვებმა სულ ველარაფერი გაიგეს და ახლა მელასთან მისვლა გადაწყვიტეს.

— ძვირფასო მელა, გვითხარი, ვინ არის ჩვენს შორის ყველაზე ლამაზი და რას ნიშნავს „მიაუ“, „ჰამ“ და „მულ“.

მელამ იხვები შეათვალიერა, პირი ვაილოკა, და, რადგან იხვებს კარგად იცნობდა, იმათებურად უპასუხა:

— ჩემო ძვირფასებო! მარტო სილამაზეს რა ფასი აქვს! მთავარია გემრიელი ხორცი გქონდეთ.

იხვები ისევ აყიყინდნენ.

— გინდათ, გვიგოთ, რომელი უფრო გემრიელი ხარ?

— გვინდა, გვინდა, — დაიყიყინეს იხვებმა და შვიდივე მელასაკენ გაექანა.

— ერთი წუთით მოითმინეთ! ახლავე შევიტყობ, — და მელამ პირველი იხვი ბუმბულიანად გადააკლავა.

— ჰოო! — წაილულულა მელამ, — არა უშავს რა, გემრიელია.

— მე უფრო გემრიელი ვარ, — წამოიძახა მეორე იხვი.

— ნუთუ მართლა? არც ერთს არ გაწყენინებთ, — უპასუხა მელამ და მეორე იხვიც მიაკლავა.

მელა ასევე მოექცა მესამე იხეს, მეოთხეს, მესხეთეს, მეექვსეს და მეშვიდეს.

— თქვე, თქვი, რომ მე ვარ ყველაზე ლამაზი და გემრიელი! — ყვიროდა მელის ხახიდან მეშვიდე იხვი.

მელამ თვალის დახამამებმაში ისიც გადაყლაპა, პირი ვაილოკა და თქვა:

— შვიდივე ტყუპები იყავით და გემოც ერთნაირი გქონდათ!

რუმინულიდან თარგმნა ფ. ჯინჯიხაშვილმა და დ. თეთრაძემ



ბექასნარკ სნ
თარგმანი ჯანსულ ჩარკვინისა

ნახატები იონანა ძლავსი

მორიგა

ყველა წიგნი დალაგდა,
ირველი ჩემიც არ ისმის.
მაგიდას და კარადას
აფილი აქვს თავისი.
ვატრუნულან ძაღლები,
დიღები და მკაცრები.
მწკრივში ღვანან დათვები,
როგორც ჯარისკაცები.

მაღლა, ცოცხალ კუთხეში,
ჩიტუნია ისვენებს.
ძია ზღარბიც ისვენებს,
ფისო თათებს ისვენებს.
ყველაფერი რიგზეა,
თითს ვერსაით ვაიშვერ,
იგრძნობა, რომ მორიგედ
იონელი დანიშნეს.

ზოსგანში

ჩვენს ზოსტანში მუშაობს
პატარების ბრიგადა.
კომბოსტო აქეთ ისეთი,
არც მოგვიათ ფიქრადა.
ყველაფერი რიგზე აქეთ—
კასრები და ბარები;
ზოსტანს ირველი ლობე აქვს
და მოწნული კარები.
დღეს რომ მორწყავ პამიდორს,
ხვალ უფრო მეტს მოისხამს.
უხარია მწვინილსა,
მორწყულსა და მოვლილსა.
სილათამ თქვა: იცოცხლოს,
ვინც კი ჩვენზე ზრუნავდა.



ტრიჭინა

კრიკინ, კრიკინ! სოფელი
ღამემ ძიღში ჩასძირა.
ყველას სძინავს, კრიკინავ,
შენ კი რატომ არ გძინავს?
ტახტზე სძინავთ ბიჭუნებს,
იონელს და აზორელს.

აქეთ—დაღლილ ფეხსაცმელს,
იქით—ტურთუქს აზორებს.
ყველას სძინავს ლოგინში;
სძინავს დედას, ბებიას;
თოჯინები პატარა
საბნების ქვეშ თებთან.
კრიკინ, კრიკინ! სოფელი
ღამემ ძიღში ჩასძირა.
რა გწუხებს; პატარავ,
კრიკინ, რატომ არ გძინავს?

ბრიგადირი კომბოსტომ
გადაკოცნა მშურადა.

გაიხარეს ბავშვებმა
თითქმის ერთიათასდა.

—ვინც დათვსავს—მოიძიეს,
—აი მათი ანდაზა.



6.60/3



უკრაინული ცეკვა
„პოპაჰი“

ნახატი ე. იაბლონსკაიასი

ყდის მხატვრობა ევთიმის ან. კანდელაკის

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაცულა მრეკლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფიშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) გამოცემის ოცამეცხრე წელი ფასი 2 მან.

Д И Л А — ежемесичный детский журнал ЦК АКСМ Грузии № 12, декабрь 1956 г. Тбилиси, Просп. Плеханова 91. საბლიტბაში, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პროზა, 91, ტელ. 3-37-38, გამოც. შუკვ. № 598 სტამბის შუკვ. № 2175 ტირაჟი 15.000 შა 07747 ხელშეწყობილია დასაბამად 10/XI-56 წ. ერწალი დაგეგმილია ლითონ-ფესტურ ზეგვის დაბრკაშა.